სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

25 აპრილი 2024 **ქ. თბილისი**

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 49

შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ გამოცხადების, კონკურსის პირობების, პროექტის ფორმების და პროექტზე თანდართული დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ

„შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის N149/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 25 აპრილის N467163 სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2024 წლის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსი - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ფორმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების რეზიუმეს ფორმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა (ქართულ ენაზე) ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ბიუჯეტის დასაბუთების და შედეგების ამსახველი მასალების ჩამონათვალის ფორმა (ქართულ ენაზე) ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების შესახებ ცნობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი რუსუდან ჯობავა და ამავე სამსახურის სპეციალისტი - თინათინ კუჭუხიძე.
13. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
14. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დანართი N1

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2024 წლის 25 აპრილის N---49---------- ბრძანებით

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ პირობები

მუხლი 1. კონკურსის მიზანი

ა) ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის შემსწავლელი კვლევების განვითარებასა და სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს;
ბ) შავი ზღვის სტრატეგიული კვლევებისა და ინოვაციების დღის წესრიგით (SRIA) გათვალისწინებული მიზნების შესრულება;
გ) შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის შემსწავლელი კვლევების განვითარება და განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელება (დისემინაცია);
დ) სხვადასხვა თაობის მკვლევართა შორის გამოცდილების გაზიარება და ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერება;
ე) საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის წახალისება;
ვ) შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევებში ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა;
ზ) სამეცნიერო შრომების საერთაშორისო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში დაბეჭდვის შესაძლებლობის გაზრდა.

კონკურსი მოიცავს შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების მიმართულებით შემდეგ თემებს, რომელიც დამტკიცებულია „შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის – „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის №149/ნ ბრძანებით.

კონკურსის ადმინისტრირების გრაფიკი:

პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში- **2024 წლის 2 მაისის 16:00 საათიდან – 2024 წლის 28 ივნისის 16:00 საათამდე;**
კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში-**2024 წლის 3 ივლისის 18:00 საათამდე;**
ჯგუფური ონლაინ კონსულტაცია (ბმული გამოქვეყნდება ამავე გვერდზე)
– 2024 წლის 20 მაისი 15:00 საათი - კონსულტაციაზე დასასწრებად გთხოვთ, გადადით ბმულზე:
– 2024 წლის 4 ივნისი 15:00 საათი - კონსულტაციაზე დასასწრებად გთხოვთ, გადადით ბმულზე:
კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზა, კონკურსის პირობებთან და მოთხ ოვნებთან შესაბამისობის შემოწმება, ხარვეზების დადგენა და გამოსწორება – **2024 წლის ივლისი;**
კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების შეფასება – **2024 წლის ივლისი-აგვისტო;**
გამარჯვებული პროექტების გამოვლენა – **2024 წლის აგვისტო;**
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება და დაფინანსება - **2024 წლის სექტემბერი.**

მუხლი 3. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს წამყვან ორგანიზაციას, თანამონაწილე ორგანიზაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და ძირითად პერსონალს ერთობლივად;
2. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი, რომელიც შედგება პროექტის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კოორდინატორისა და სხვა პირებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან პროექტის ძირითადი ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე;
3. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი;
4. პროექტის ძირითად პერსონალში პროექტის განხორციელების მთლიანი პერიოდის განმავლობაში ჩართული უნდა იყოს არანაკლებ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი;
5. პროექტის მიმდინარეობის პერიოდში პროექტის ხელმძღვანელმა პროექტი უნდა განახორციელოს წამყვანი ორგანიზაციის სახელით და მისი ბაზის გამოყენებით;
6. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირ(ებ)ი, რომლებიც ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია დამხმარე პერსონალმა შეასრულოს ძირითადი პერსონალის ფუნქციები.
7. თანამონაწილე ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში პროექტს უნდა ჰყავდეს თანახელმძღვანელი.
8. კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა წარდგენილი პორექტი ითვალისწინებდეს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სამეცნიერო ჯგუფის/ჯგუფების ჩართულობით ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ასევე განხორციელებული კვლევების შედეგების გავრცელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებას (კონფერენცია, ლექცია-სემინარი ან სხვა).

მუხლი 4. პროექტის ხანგძლივობა და ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება

1. კონკურსი ითვალისწინებს პროექტში მონაწილე სამეცნიერო ჯგუფის/ჯგუფების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული ცოდნისა და შედეგების გავრცელებას-დისემინაციას (კონფერნეცია, ლექცია-სემინარი ან სხვ.).
2. კონკურსი შესაძლოა ითვალისწინებდეს პროექტთან დაკავშირებით მივლინებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მგზავრობის, საცხოვრებლის, ვიზისა და ყოველდღიური ხარჯების ანაზღაურებას.
3. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს არაუმეტეს 24 თვე (2 წელი). ხოლო თითოეული საანგარიშო პერიოდი მოიცავდეს 12 თვეს. პროექტის ბოლო საანგარიშო პერიოდის მიმდინარეობისას ან მისი დასრულების შემდეგ 10 კალენდარული დღის განმავლობაში, არგუმენტირებული მომართვის წარმოდგენის შემთხვევაში, დამატებითი დაფინანსების გარეშე, ფონდი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის ხანგრძლივობის მაქსიმუმ 6 თვით გაგრძელების შესახებ.
4. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აჭარბებდეს 60 000 ლარს წელიწადში.
5. კონკურსი ითვალისწინებს ზედნადებ ხარჯებს - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევის დაფინანსებისათვის.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის კოორდინატორი გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი, რომელიც შედგება შემდეგი დოკუმენტებისაგან:
   ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (**დანართი 2**, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);
   ბ) პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენაზე (**დანართი 3**, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
   გ) საპროექტო წინადადება ქართულ და ინგლისურ ენაზე (**დანართი 4**, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);
   დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (**დანართი 5,** ივსება GMUS-ში);
   ე) პროექტის ბიუჯეტი (**დანართი 6,** ივსება GMUS-ში);
   ვ) პროექტის მონაწილეების პროფესიული ბიოგრაფია - CV ქართულ და ინგლისურ ენაზე (**დანართი 7,** ივსება GMUS-ში);
   ზ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის/ მაგისტრანტის/რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება აღიარება, საჭიროა მხოლოდ ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ. (იტვირთება GMUS-ში მეცნიერის პროფილის „განათლების" ველში).
   თ) თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ცნობა (**დანართი 8**, გენერირდება GMUS-ით).
2. ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის წარმომდგენი ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (**დანართი 9**, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებით.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში ატვირთვა შესაძლებელი იქნება **2024 წლის 2 მაისის 16:00 საათიდან – 2024 წლის 28 ივნისის 16:00 საათამდე.**
4. ფონდის კანცელარიაში სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება" მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა ფონდის კანცელარიაში განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2024 წლის 3 ივლისის 18:00 საათი.**
5. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია საკონკურსოდ არ განიხილება.
6. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
7. რომელიც არ შეესაბამება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის ფორმას.
8. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) პროექტების დარეგისტრირება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში;

გ) განცხადების ფონდის კანცელარიაში წარდგენა;

დ) შემოსული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ე) პროექტების შეფასება კომისიის მიერ;

ვ) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამარჯვებული პროექტების დამტკიცება;

ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი ანგარიშების წარდგენის საფუძველზე. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
ფინანსურ და პროგრამული ანგარიშებისა და მათზე თანდართული დოკუმენტაციის სისწორესა და სინამდვილეზე, პასუხისმგებელია გრანტის მიმღები
ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდების განმავლობაში შესრულებული აქტივობებისათვის გაწეული ხარჯების შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
გრანტის მიმღებისთვის, გრანტის ჩარიცხვის ფაქტის დადასტურებით (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში შესრულებული გადარიცხვა), გრანტის გამცემისთვის ზედნადები ხარჯები სრულად აღიარდება ხარჯად, ფონდის მიერ განხორციელებული ფინანსური მონიტორინგის ფარგლებში. ფონდი უფლებამოსილია, პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, ასევე დასრულებიდან 3 წლის ვადაში გრანტის მიმღებისგან მოითხოვოს ინფორმაცია ზედნადები ხარჯების მუხლიდან თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით და შესაბამისი დოკუმენტაცია.
პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას პროექტით განსაზღვრული კვლევის შედეგების ამსახველი მასალის შესაბამისად. ფონდი უფლებამოსილია პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.მონიტორინგის მიზნებისათვის გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;
პროექტის ბიუჯეტის დასაბუთებაში მითითებული ჩანაწერებისაგან განსხვავებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს მოსთხოვოს დამატებითი

დასაბუთება გაწეული ხარჯის მიზნობრიობის დასადგენად და მიღებული განმარტებით იხელმძღვანელოს ხარჯის მიზნობრიობის განხილვისას.

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება ფონდის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას დარჩენილი გაუხარჯავი თანხა, რომელიც უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე.

დ) ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა.

ე) გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

ვ) საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია საანგარიშო პერიოდში გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

ზ) საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია მიმდინარე წლისათვის პროექტის განსახორციელებლად მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობის 20%-ის ფარგლებში.

დანართი 2

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2024 წლის 25 აპრილის N--49-- ბრძანებით

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

General Information

პროექტის დასახელება:	
Project title:	
სამეცნიერო მიმართულება*:	
Scientific field*:	
საკვანძო სიტყვები:	
Keywords:	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
Budget requested from Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (GEL):	
პროექტის რეზიუმე	ფაილის ატვირთვა
Abstract	Upload file
საპროექტო წინადადება	ფაილის ატვირთვა
Project Proposal	Upload file
პროექტის გეგმა-გრაფიკი	ფაილის ატვირთვა
პროექტის ბიუჯეტი	ფაილის ატვირთვა

პროექტის გუნდი
Project team

№	პირადი ნომერი	სახელი, გვარი	პოზიცია პროექტში	პროფესიული ბიოგრაფია	აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი
1			პროექტის ხელმძღვანელი	ფაილის ატვირთვა	ფაილის ატვირთვა
2			პროექტის თანახელმძღვანელი	ფაილის ატვირთვა	ფაილის ატვირთვა
3			კოორდინატორი	ფაილის ატვირთვა	ფაილის ატვირთვა
4			ძირითადი პერსონალი	ფაილის ატვირთვა	ფაილის ატვირთვა
5			ძირითადი პერსონალი	ფაილის ატვირთვა	ფაილის ატვირთვა

№	ID number	Name, Surname	Position in the project	CV	Document of Academic Degree Verification
1			Principal investigator	Upload file	Upload file
2			Co-principal investigator	Upload file	Upload file
3			Coordinator	Upload file	Upload file
4			Key Personnel	Upload file	Upload file
5			Key Personnel	Upload file	Upload file

დანართი 3

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2024 წლის 25 აპრილის N ...49... ბრძანებით

პროექტის რეზიუმე

მაქსიმალური სიტყვების რაოდენობა: 300 სიტყვა

დანართი 3

Annex 3

Project Abstract

Maximum word count: 300 words

დანართი 4

დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 25 აპრილის N 49 ბრძანებით

საპროექტო წინადადება

1. პროექტის სამეცნიერო ღირებულება

(პროექტის ღირებულება და მნიშვნელობა, კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებსა და ამოცანებთან. სამეცნიერო გუნდის კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით თემატიკასთან. პროექტის ადგილობრივი და საერთაშორისო თანამშრომლობა, ინტერდისციპლინურობა.)

2. სამეცნიერო ეფექტიანობა

კვლევის მოსალოდნელი შედეგების ინოვაციურობა, მათი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, პროექტის შედეგების მნიშვნელობა საგრანტო კონკურსის მიზნებისა და ამოცანებისათვის, კვლევის შედეგების გავრცელების გეგმა და მეთოდოლოგია (ინდიკატორების მითითებით).

3. პროექტის განხორციელება

პროექტის განხორციელების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) ეფექტურობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან. ბიუჯეტის და ინსტიტუციური მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესაბამისობა დაგეგმილი ამოცანების

განხორციელებისათვის. პროექტის მდგრადობა, პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები.

Annex 4

Project Proposal

1. Scientific value of the project

(The value and importance of the project, the relevance of the research topic/issue, the novelty and innovativeness of the research, the formulation of the research goals and objectives, the relevance of the research methodology to the goals and objectives. The relevance of the competence of the scientific team to the research topic. Local and international cooperation of the project, interdisciplinarity.)

2. Scientific effectiveness

The innovativeness of the expected research results, their scientific and practical value, the importance of the project results for the goals and objectives of the grant call, the research results dissemination plan and methodology (indicating indicators).

3. Implementation of the project

The effectiveness and relevance of the project implementation plan (tasks and activities stages, timelines) to the research objectives. Compliance of the budget and institutional material and technical resources for the implementation of the planned tasks. Project sustainability, project implementation risk analysis and ways to eliminate risks.

დანართი № 5

პროექტის გეგმა-გრაფიკი

შიფრი
პროექტის ხელმძღვანელი
წამყვანი ორგანიზაცია

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

ამოცანა	პერიოდი	პასუხისმგებელი პირი
#1 ამოცანის დასახელება		**სახელი, გვარი**
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი
#2 ამოცანის დასახელება		**სახელი, გვარი**
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი
#3 ამოცანის დასახელება		**სახელი, გვარი**
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი
აქტივობა (ტექსტი)		სახელი, გვარი

შედეგები

პერიოდი	შედეგი	რაოდენობა	შედეგის ამსახველი მასალა	შედეგების მიღებაზე პასუხისმგებელი პირი
I	აირჩიეთ	#	ტექსტი	სახელი, გვარი
II	აირჩიეთ	#	ტექსტი	სახელი, გვარი

გეგმა-გრაფიკის დასაბუთება

ტექსტი (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300)

შენიშვნა:

1. პროექტი უნდა დაიგეგმოს არაუმეტეს 2 საანგარიშო პერიოდად. ერთი საანგარიშო პერიოდი შეადგენს 12 თვეს.

2. რეკომენდებულია, ამოცანებისა და აქტივობების დანომრვა.

3. გეგმა-გრაფიკი თანხვედრაში უნდა იყოს საპროექტო წინადადებაში ასახულ მიზნებთან და ამოცანებთან.

4. თუ ამოცანა ხორციელდება რამდენიმე საანგარიშო პერიოდში, მის შესახებ ინფორმაცია ასახული უნდა იყოს ყველა საანგარიშო პერიოდში.

დანართი №6

პროექტის ბიუჯეტი

შიფრი
პროექტის ხელმძღვანელი

№	ხარჯვის კატეგორია	ახალგაზრდა მეცნიერი (კი/არა)	ფონდიდან მოთხოვნილი (ტრანში 1)	თანადაფინანსება (ტრანში 1)	ფონდიდან მოთხოვნილი (ტრანში 2)	თანადაფინანსება (ტრანში 2)	ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება ჯამი	თანადაფინანსება ჯამი	სულ ჯამი
1	ძირითადი პერსონალის საარნარო დათინანსება		0	0	0	0	0	0	0
1.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	სახელი, გვარი	არა	0	0	0	0	0	0	0
1.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	სახელი, გვარი	კი	0	0	0	0	0	0	0
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება		0	0	0	0	0	0	0
2.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	მიუთითეთ პოზიცია		*0*	0	0	0	0	0	0
2.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	მიუთითეთ პოზიცია		*0*	0	0	0	0	0	0
3	მივლინება		0	0	0	0	0	0	0
3.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
3.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
4	საქონელი და მომსახურება		0	0	0	0	0	0	0
4.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	4.1 ოფისის ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.3 კვების ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		0	0	0	0	0	0	0
4.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	4.1 ოფისის ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.3 კვების ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
	4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		0	0	0	0	0	0	0
5	არაფინანსური აქტივები		0	0	0	0	0	0	0
5.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
5.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
6	ზედნადები ხარჯები		0	0	0	0	0	0	0
6.1	წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
6.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
			0	0	0	0	0	0	0
	ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ჯამი		0	0	0	0	0	0	0
	ჯამი - წამყვანი ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0
	ჯამი - თანამონაწილე ორგანიზაციიდან		0	0	0	0	0	0	0

შენიშვნა:

1. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აჭარბებდეს 60 000 ლარს ნელიწადში.

2. ზედნადები ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 5%-ს.

6. თანადაფინანსების შემთხვევაში თანადაფინანსების თანხა უნდა აისახოთ შესაბამის პერიოდში და შესაბამის ხარჯვით კატეგორიაში.

ბიუჯეტის დასაბუთება

შიფრი

პროექტის ხელმძღვანელი

№	ხარჯვის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება	თანადაფინანსება	ბიუჯეტის დასაბუთება
1	ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება	0	0	
1.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
1.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
2	დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება			
2.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
2.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
3	მივლინება	0	0	
3.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
3.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
4	საქონელი და მომსახურება	0	0	
4.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	
	4.1 ოფისის ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.3 კვების ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0	0	ტექსტი
4.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	
	4.1 ოფისის ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.3 კვების ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები	0	0	ტექსტი
	4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0	0	ტექსტი
5	არაფინანსური აქტივები	0	0	
5.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
5.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
6	ზედნადები ხარჯები	0	0	
6.1	წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
6.2	თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	ტექსტი
	ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების ჯამი	0	0	
	ჯამი - წამყვანი ორგანიზაციიდან	0	0	
	ჯამი - თანამონაწილე ორგანიზაციიდან	0	0	

ბიუჯეტის დასაბუთება

ტექსტი (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 300)

№	შედეგების ამსახველი მასალების ჩამონათვალი
1	სტატიის გაამოქვეყნება / გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება რეიტინგულ ჟურნალში
2	სტატიის გამოქვეყნება / გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღება არარეიტინგულ ჟურნალში
3	მონოგრაფია/წიგნი ელექტრონული
4	მონოგრაფია/წიგნი ნაბეჭდი
5	ლექსიკონი ელექტრონული
6	ლექსიკონი ნაბეჭდი
7	სახელმძღვანელო ელექტრონული
8	სახელმძღვანელო ნაბეჭდი
9	მეთოდური რეკომენდაცია
10	საგანმანათლებლო/დამხმარე მასალები
11	დისერტაცია სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომი
12	საკონფერენციო მასალები/ თეზისები/გამოცემები
13	პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საზღვარგარეთ
14	პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაზე საქართველოში
15	საპატენტო განაცხადის წარდგენა საქართველოში
16	პატენტი გაცემული საქართველოში
17	საერთაშორისო საპატენტო განაცხადი (PCT განაცხადი)
18	მიღებული საერთაშორისო პატენტი (PCT – The International Patent System)
19	პატენტი გაცემული უცხო ქვეყნაში
20	პატენტზე უფლებების გადაცემა/პატენტის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემა/პატენტის დაგირავება
21	სასარგებლო მოდელი
22	ახალი ჯიში/სახეობა/შტამი (მცენარის/ცხოველის/სოკოს/ ბაქტერიის/ვირუსის)
23	ახალი ჯიშის/სახეობის/შტამის რეგისტრაცია საზღვარგარეთ (UPOV PRISMA)
24	საწარმოო ხაზის პროექტის/ პროტოტიპის შექმნა
25	საწარმოო ხაზის შექმნა
26	პროტოტიპი
27	ნიმუში/მოდელი
28	ინსტრუმენტი/ხელსაწყო/დანადგარი
29	პროგრამული უზრუნველყოფა/აპლიკაცია (software)
30	ვებ გვერდი
31	ტექნოლოგიის შექმნა
32	ინოვაციური სერვისი/პროცედურა
33	სამკურნალო საშუალება (ფარმაცევტული პროდუქტი, მცენარეთა დაცვის საშუალება)
34	ფიზიკური კოლექციები
35	აუდიო/ვიდეო პროდუქტები
36	დიზაინი
37	სასაქონლო ნიშანი
38	საქონლის გაფორმება
39	მონაცემთა ბაზა
40	კვლევის შედეგად ინიცირებული სხვა პროდუქტები (მაგალითად, ბიზნესის დაწყება/კავშირი საწარმოსთან და სხვა)
41	სხვა შედეგი (დააკონკრეტეთ)

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
[illegible]		

Annex 7

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		

დანართი 8
დამტკიცებულია
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2024 წლის 25 აპრილის N--49-- ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ საგრანტო კონკურსი

ინფორმაცია პროექტის შესახებ	
პროექტის სათაური	
პროექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	
წამყვანი ორგანიზაციის სახელწოდება	

ცნობა თანადაფინანსების შესახებ

თანადამფინანსებელი იურიდიული/ ფიზიკური პირი	საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი	დაფინანსების პერიოდი	თანადაფინანსების თანხა ლარში	თანადაფინანსების თანხა უცხოურ ვალუტაში

გთხოვთ, მიუთითოთ თანადაფინანსების მიზნობრიობა

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა[1]:

ორგანიზაციის ბეჭედი[2]:

თარიღი:

[1] სავალდებულოა
[2] ასეთის არსებობის შემთხვევაში

დანართი 9

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

2024 წლის 25 აპრილის N--49--- ბრძანებით

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების - „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ 2024 წლის საგრანტო კონკურსში მონაწილე
პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანით შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსის – „შავი ზღვის ლურჯი განვითარება“ დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 27 დეკემბრის №149/ნბრძანებას, აგრეთვე, „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის ------- აპრილისN___ ბრძანებას და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.
გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩვენი პროექტი სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვული სამეცნიერო ფონდის 2024 წლის შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსში -„შავი ზღვის ლურჯი განვითარება“.

1. პროექტის სახელწოდება: _____
2. პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარში) _____

	პროექტში მონაწილე ქართველ მეცნიერთა ჯგუფის წევრები (გვარი, სახელი)	**პოზიცია პროექტში**	**ხელმოწერა**
1.		პროექტის ხელმძღვანელი	
2.		პროექტის თანახელმძღვანელი	
3.		პროექტის კოორდინატორი	
4.		ძირითადი პერსონალი	
5.			

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტების საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

ბიუჯეტი

წინამდებარე კლასიფიკაციის მიხედვით, სამეცნიერო საგრანტო პროექტის ბიუჯეტი და მასში გათვალისწინებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია კვლევასთან, იყოფა ხარჯების 6 ძირითად ჯგუფად, კერძოდ:

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
3. მივლინება;
4. საქონელი და მომსახურება;
5. არაფინანსური აქტივები;
6. ზედნადები ხარჯები.

1. ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება

საგრანტო დაფინანსება გულისხმობს პროექტის ძირითადი პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით გაცემულ გრანტს. აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება გრანტის ოდენობა, რომელიც დადგენილია პროექტის ძირითადი პერსონალისათვის, დაკავებული პოზიციის შესაბამისად.

2. დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება

აღნიშნული კატეგორია გულისხმობს დამქირავებლის მიერ პროექტის დამხმარე პერსონალისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ფორმით გაცემულ ხელფასს. აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება თვიური ხელფასის ოდენობა, რომელიც დადგენილია დამხმარე პერსონალისათვის მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად.

3. მივლინება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის ხარჯებს, ქვეყნის გარეთ მივლინებისათვის მივლინებული მუშაკის სავალდებულო დაზღვევის ხარჯებს, პასპორტის ღირებულებისა და მივლინებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (მათ შორის, ვიზის) გაფორმებასთან დაკავშირებულ აუცილებელ ხარჯებს (მაგალითად, ვიზის მოსაკრებელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი საკონსულოს არ არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის გაგზავნასთან და მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები), აგრეთვე სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯებს (მაგალითად, კონფერენციაში მონაწილეობის სარეგისტრაციო გადასახადი).

შენიშვნა: მივლინების მუხლიდან ხარჯის გაწევისას, გრანტის მიმღები ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის #220 ბრძანებით დამტკიცებული სადღეღამისო ხარჯების და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ნორმების შესაბამისად.

4. საქონელი და მომსახურება

აღნიშნული მუხლი მოიცავს 7 ქვეკატეგორიას:

4.1 ოფისის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხარჯებს მცირეფასიან და მრავალჯერადი მოხმარების საგნებზე, მათ შორის, მცირეფასიან აქტივებზე (500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა), რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ასევე ძირითადი აქტივების, ფასეულობების და არაწარმოებული აქტივების მოვლა-შენახვის (ექსპლუატაციის) და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. მიმდინარე შეკეთების, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯი წარმოადგენს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამ აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და ისინი არ ცვლიან აქტივების საექსპლუატაციო თვისებებს, უბრალოდ ინახავენ მათ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

ოფისის ხარჯები მოიცავს:

- საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენას;
- კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯს, როგორიცაა მცირეფასიანი და ხშირ შემთხვევაში ერთწლიანი გამოყენების კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯები;
- ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენისა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯს;
- მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯს: ტელევიზორი, მაცივარი, კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები), ასლგადამღები, კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა, ფოტო-ვიდეო-აუდიო აპარატურა (ფოტოაპარატი, ხმის ჩამწერი აპარატურა, აუდიო-ვიდეო აპარატურა), ტელეფონის, ფაქსის აპარატი, მუსიკალური ინსტრუმენტი, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა, სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენისა და დამონტაჟებასთან/დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი;
- საოფისე ინვენტარის შეძენისა და დამონტაჟების ხარჯებს, როგორიცაა საოფისე ავეჯი, რბილი ავეჯი, სხვა საოფისე მცირეფასიანი ინვენტარის (სამზარეულოს ინვენტარი, ტანსაცმლის საკიდი, ბეჭედი/შტამპი, მაგიდის სანათი, სურათის ჩარჩო, საათი, ცეცხლგამძლე კარადა (სეიფი) და სხვა საოფისე ინვენტარი) შეძენასა და დამონტაჟებასთან დაკავშირებული ხარჯი;
- ოფისისთვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებს, რაც გულისხმობს ოფისის ფუნქციონირებისათვის საჭირო სამეურნეო დანიშნულების საგნების და მასალების შეძენის ხარჯს;
- რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარიული საგნების ხარჯებს;
- საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- საფოსტო მომსახურების ხარჯებს, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ საფოსტო, მათ შორის ამანათების, დეპეშების, რადიოგრამების და სხვა სახის გზავნილების ხარჯებს;
- სამსახურებრივი და საცდელი ცხოველების შესყიდვასთან და მოვლა-შენახვასთან (მათ შორის ცხოველების კვების ხარჯი) დაკავშირებულ ხარჯებს;
- სხვა ოფისის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევასთან.

4.2 წარმომადგენლობითი ხარჯები

აღნიშნული კატეგორია გულისხმობს როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც და მოიცავს მიღებისა და ოფიციალური სადილის, წვეულებისა და სხვა ღონისძიებების, საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიების, სუვენირების შეძენის/დამზადების, აეროპორტში დახვედრის და გაცილების, სატრანსპორტო მომსახურების და მგზავრობის, სასტუმროს მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება და სხვა), არარეზიდენტებისათვის საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, გაგრძელება), და სხვა დანარჩენ წარმომადგენლობით ხარჯებს.

4.3 კვების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების მონაწილეთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

4.4 რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პირადი ჰიგიენისთვის განკუთვნილი ლოგინის თეთრეულის, ლეიბების, საბნების, ბალიშების შეძენისა და შენახვის ხარჯებს, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, უნიფორმის და შესაბამისი სპეცაღჭურვილობის შეძენისა და შენახვის ხარჯებს, ფარდების, ფარდა-ჟალუზების და სხვა ანალოგიური საქონლის შეძენის, შენახვის, შეკერვისა, გადაკეთების და სხვა მსგავს ხარჯებს.

4.5 ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციასთან და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, კერძოდ:

- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს, რომელიც მოიცავს ბენზინის, დიზელისა და სხვა საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯებს;
- მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯს;
- ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯებს, სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა-შენახვის ხარჯებს;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის სხვა ხარჯებს.

4.6 ექსპედიციის და საველე სამუშაოების ხარჯები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამეცნიერო კვლევითი ექსპედიციის ან/და საველე სამუშაოების ფარგლებში მგზავრობის ხარჯებს, ტრანსპორტის დაქირავების ხარჯებს, საწვავის შესყიდვის ხარჯებს, კვების ხარჯებს, ბინის დაქირავების ხარჯებს, ექსპედიციისათვის საჭირო აღჭურვილობის ხარჯებს, ექსპედიციასთან და საველე სამუშაოებთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

4.7 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება

აღნიშნული კატეგორია მოიცავს:

- ბანკის მომსახურების ხარჯებს;
- ექსპერტიზის, შემოწმებების, ლაბორატორიული და სხვა მომსახურების ხარჯებს;
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან

დაკავშირებულ ხარჯებს;

- რეკლამის, კვლევის შედეგების პრეზენტაციებისა და საჯაროობის/ხელმისაწვდომობის ზრდის ხარჯებს;
- სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (ტრანსპორტის, კვების და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯის გამოკლებით. მაგალითად ღონისძიების ფარგლებში სხვადასხვა აქტივების ქირავნობის ხარჯები);
- საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯებს;
- საარქივო მომსახურების ხარჯებს;
- კვლევების, განვითარების და სხვა მსგავსი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს; სამეცნიერო საქმიანობისათვის საჭირო ხარჯებს, მათ შორის: საცდელი მაკეტებისა და ლაბორატორიული სტანდარტების, რეაქტივების, ქიმიკატების, ქაღალდების, ჭურჭლის, მედიკამენტების და სხვა სამკურნალო საშუალებების, სამედიცინო ინსტრუმენტის შეძენის ხარჯებს, სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო ნარჩენების უტილიზაციის ხარჯებს, საერთო ხასიათის სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ლაბორატორიების/კაბინეტებისათვის სამედიცინო დანიშნულების მასალების შეძენის ხარჯებს, სისხლის და პლაზმის შეძენის და სხვა სამედიცინო ხარჯებს, ასევე სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენას; რუკების, სქემების, დიაგრამების, ესკიზების, მაკეტების და სხვა მცირეფასიანი სამეცნიერო ხასიათის საგნების შეძენის ხარჯებს; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სტანდარტიზაციასთან და სერტიფიკაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სიგელებისა და სერთიფიკატების ხარჯებს; აქტივების იჯარასა და ქირასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სხვადასხვა მოსაკრებლების, საკომისიოების და ბილეთების შეძენის ხარჯები; დანადგარების დაზღვევის ხარჯს, სასარგებლო წიაღისეულის ძიებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: საცდელი ფაქტობრივი გაბურღვის ხარჯები, აგრეთვე ტესტირების ჩასატარებლად გაწეული ხარჯები.
- სხვა დანარჩენი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია კვლევის განხორციელებასთან და არ კლასიფიცირდება წინამდებარე დოკუმენტში.

შენიშვნა : საქონელი და მომსახურების მუხლი არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების ხარჯებს,

5. არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივები იყოფა 2 ძირითად ჯგუფად, კერძოდ: ძირითადი აქტივები; არაწარმოებული აქტივები.

5.1 ძირითადი აქტივები არის წარმოებული აქტივები, რომლებიც ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება წარმოების ან მომსახურების პროცესში და რომელთა ღირებულებაც შეადგენს 500 ლარს და მეტს. ისეთი საგნები, რომლებსაც ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლი გააჩნიათ, მაგრამ განკუთვნილი არ არიან მრავალჯერადი გამოყენებისათვის, არ შეიძლება კლასიფიცირდებოდეს, როგორც ძირითადი აქტივები (მაგალითად საწვავად გამოყენებადი ნახშირი). ძირითადი აქტივების შეძენა მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ ყველა სახის ხარჯს, როგორიცაა: ტრანსპორტირების ხარჯები, შემფასებელთა, აუქციონერთა და დილერების მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები, ასევე პროექტის მომზადების/პროექტირების ხარჯებს, აქტივის შეძენასთან დაკავშირებული მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯები და სხვა. ხოლო აქტივების გასვლის

შემთხვევაში, საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.
არსებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც ზრდის მათ საწარმოო სიმძლავრეს, ახანგრძლივებს სასიცოცხლო ციკლს ან ორივეს ერთად, წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივების შეძენა. კაპიტალურ შეკეთებაში იგულისხმება აქტივის განახლება, რეკონსტრუქცია და გაფართოება, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და იგი ზრდის აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, სიმძლავრეს ან ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების პერიოდს. ამასთან, ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები, რაც გავლენას არ ახდენს მათ საწარმოო სიმძლავრესა და სასიცოცხლო ციკლზე, აღირიცხება როგორც „საქონელი და მომსახურება“.

ძირითადი აქტივები მოიცავს 4 ქვეკატეგორიას:

5.1.1 სპეციალური ტექნიკა
აღნიშნულ კატეგორიაში აღირიცხება სპეციალური ტექნიკა, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში და ა.შ. და იგი მოიცავს:

- ტრაქტორებს, კომბაინებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას
- ბულდოზერებს და სხვა დანარჩენ სპეციალურ ტექნიკას
- სხვა სპეციალურ ტექნიკას.

5.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი
აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა სახის მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარს, გარდა სატრანსპორტო საშუალებებისა. აღნიშნული მუხლი მოიცავს – საერთო და სპეციალური მოხმარების მანქანებს; საოფისე, საბუღალტრო და კომპიუტერულ მოწყობილობებს და სხვა მანქანა-დანადგარებს და ინვენტარს;

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს:

- ტელევიზორი;
- მაცივარი;
- კომპიუტერი;
- პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები;
- უწყვეტი კვების წყარო;
- ხმის ჩამწერი აპარატურა;
- ფოტოაპარატი;
- ვიდეო-აუდიო აპარატურა;
- ტელეფონის, ფაქსის აპარატი;
- მუსიკალური ინსტრუმენტი;
- სამედიცინო აპარატურა და ხელსაწყოები;
- ოპტიკური ხელსაწყო;
- ავეჯი (რბილი ავეჯის გარდა);
- ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური, ქიმიური და ბიოქიმიური, ტექნიკა, ციფრული და ოპტიკური მიკროსკოპები, ბიოლოგიური, ქიმიური კვლევის აპარატები, ანალიზატორები, სპექტრომეტრები, სპექტროფოტომეტრები, PH მეტრები, ქრომატოგრაფები;
- სხვა სამეცნიერო დანიშნულების მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

5.1.3 სხვა ძირითადი აქტივები

აღნიშნულ მუხლში შედის ცხოველები და მცენარეები, რომლებიც გამოიყენება მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სხვა საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, მათ შორის, სამსახურებრივი დანიშნულების ცხოველები. ამ კატეგორიაში გაერთიანებულ ცხოველებს განეკუთვნებიან: გასამრავლებელი საქონელი (თევზეულისა და შინაური ფრინველების ჩათვლით); მეწველი საქონელი; საჯიშე პირუტყვი; ცხვრები ან სხვა ცხოველები, რომლებიც გამოიყენება შალის საწარმოებლად; აგრეთვე ტრანსპორტირებისათვის და სხვა სამეცნიერო დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი საქონელი და სხვა.

ამ კატეგორიაში გაერთიანებულ მცენარეებს განეკუთვნებიან: ხეები, ვენახები და ბუჩქნარები, რომლებიც კულტივირდება ხილის, თხილის, ფისისა და მერქნის მოსაყვანად და სხვა.

ამასთან, თუ აღნიშნული მცენარეები და ცხოველები ერთჯერადი გამოყენებისაა, როგორიცაა წინასწარ განსაზღვრული დასაკლავი საქონელი და შეშად გამოსაყენებელი ხეები, აღნიშნული არ კლასიფიცირდება, როგორც ძირითადი აქტივები.

5.1.4 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები

აღნიშნული კატეგორია მოიცავს, ისეთი ტიპის ობიექტებს, რომლებიც წარმოებაში ერთ წელზე მეტი ხნით გამოიყენება და მათი მომხმარებელია მხოლოდ მათზე საკუთრების ან ლიცენზიის მქონე სუბიექტი. აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება:

- კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ითვალისწინებს პროგრამებს, მათ აღწერილობებსა და დამხმარე მასალებს როგორც სისტემური, ასევე გამოყენებითი პროგრამებისთვის, რომელთა მოხმარებაც ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობით არის მოსალოდნელი; აღნიშნული ასევე მოიცავს ფართო მონაცემთა ბაზის შემუშავებას ან შესყიდვას;
- სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორიცაა: ფილმები, ხმის ჩანაწერები, ხელნაწერები, მუსიკალური ნაწარმოები, სპორტული მოვლენები, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებები და სხვა.

5.2 არაწარმოებული აქტივები

აღნიშნული კატეგორია ასევე მოიცავს საზოგადოებრივი მოწყობისათვის განკუთვნილ პროდუქტებს, რომლებიც ეფუძნება სამართლებრივ ან საბუღალტრო ქმედებებს. ზოგიერთი ასეთი აქტივი მფლობელს უფლებას აძლევს წარმართოს ესა თუ ის კონკრეტული სახის საქმიანობა, ან აწარმოოს კონკრეტული სახის საქონელი ან მომსახურება და, ამასთან, სხვა ერთეულებს აუკრძალოს მსგავსი საქმიანობის წარმართვა მესაკუთრის ნებართვის გარეშე. სხვა არამატერიალური აქტივები მოიცავენ დაპატენტების ობიექტებს.
პატენტები უზრუნველყოფენ გამოგონებების დაცვას სამართლებრივად ან სასამართლო გადაწყვეტილებებით. დასაცავი გამოგონებების მაგალითებია: ნივთიერებათა შემადგენლობები, პროცესები, ელექტრონული და ელექტროსქემები, მოწყობილობები, ფარმაცევტული შემადგენლობანი და ხელოვნურად შექმნილი ცოცხალი ორგანიზმების ახალი სახეები.

შენიშვნა: გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანისა და მობილური ტელეფონის შეძენა.

6. ზედნადები ხარჯები

ზედნადები ხარჯები გულისხმობს პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის საჭირო წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ გასაწევ არაპირდაპირ ხარჯებს, რომელიც მოიცავს:

- კავშირგაბმულობის ხარჯებს, როგორიცაა შიდასაქალაქო სატელეფონო მომსახურების, საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების, მობილური ტელეფონის, სატელევიზიო არხებით სარგებლობის, ინტერნეტით სარგებლობის, სპეციალური კავშირის და კავშირგაბმულობასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ხარჯები;
- კომუნალურ ხარჯებს, როგორიცაა ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი და თხევადი აირის, კანალიზაციისა და ასინილიზაციის, გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის, ასევე გენერატორის საწვავის შეძენის, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯებს;
- შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებს;
- შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯებს;
- ტექნიკურ და შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სახანძრო დაცვის მომსახურების ხარჯებს;
- შენობის პასპორტიზაციასთან და ინვენტარიზაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ტენდერის ხარჯებს;
- პროექტის განხორციელებასთან და მის ტექნიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სხვა არაპირდაპირ ხარჯებს;
- წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ სამეცნიერო-კვლევითი შიდა მიზნობრივი დაფინანსებისათვის გასაწევ ხარჯებს.